სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

18 სექტემბერი 2025

N 498/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურწეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვწული სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 სექტემბრის №1475 განკარგულების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №2-978 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ", „ზ" და „რ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 12 სექტემბრის №6782/01 თანხმობის წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 30 იანვრის №42/ს ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 19 სექტემბრიდან, ხოლო ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული საშტატო ნუსხით გათვალისწინებული იმ თანამდებობებისთვის, რომელთა დასახელება ან/და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება უცვლელი რჩება ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებთან ან/და სტრუქტურული ქვედანაყოფების სახელწოდებებთან მიმართებაში, ეს ბრძანება ძალაშია 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/498-21-4-202509181250

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE